

# ვარიაციის ენობრივი ერთეულები

## ნინო ფართლაძე

### აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (დოქტორანტი)

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.52.08>

**საკვანძო სიტყვები:** სოციალიზაცია, სოციოკულტურული, ვარიაცია, ინტენსია, კოგნიტური, დიფერენციაცია.

თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერების სამი საყრდენის- ენის, მეტყველებისა და ურთიერთობის შესახებ საუბრისას აუცილებელია წარმოვიდგინოთ მშობლიური ენის მომხმარებლისა და ენის მკვლევრის სხვადასხვა პოზიცია. მომხმარებელი ახორციელებს აქტს. ის გადასცემს ადრესატს ბგერების, სიტყვებისა და გრამატიკული სტრუქტურის ერთობლიობას, რომელთა არჩევაც გონებიდან ხდება კომუნიკაციური ურთიერთობის შესაბამისად. სამი გლობალური ინტენსია - შეტყობინება, შეკითხვა, შეგულიანება, საფუძვლად დაედო ურთიერთობის, მეტყველებისა და ენის არსს. ამგვარად ყალიბდება ენა: ერთი მხრივ, ურთიერთობაში, მეორე მხრივ ურთიერთობისათვის. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არსებობს და მოქმედებს ადამიანის მშობლიური ენა და რას უკეთებს ის „ენას, მეტყველებას, ურთიერთობას“ განიხილება ორ კონცეფციად.

პირველი კონცეფციის მიხედვით მშობლიური ენა ეხმარება ადამიანს სამყაროს შეცნობისა და სოციალიზაციის პროცესში, მეხსიერების ბლოკში უგროვდება აზრობრივი, ლექსიკურ-გრამატიკული ბგერითი კონსტრუქციები, რომლებიც მიესადაგება სოციალურ გამოყენებას, აღიბეჭდება ტვინის უჯრედებში და თანდათან იქცევა ადამიანის ენობრივ სამეტყველო-კომუნიკაციურ საშუალებად. მეორე კონცეფციაში განხილულია სამი განუწყვეტელი ფენომენი: აზროვნება, ცნობიერება და ენის მატერიალურ- ლინგვისტური კომპლექსი, რაც ადამიანს გენეტიკურად აქვს თანდაყოლილი ურთიერთობების დამყარებისათვის. აზროვნებას მიეწოდება სიგნალები აღქმის ორგანოებიდან, ცნობიერება აფასებს და არჩევს სასარგებლო ინფორმაციას, ენა ნიშნებსა და წესებში აფიქსირებს ცნობიერების მუშაობას. აკადემიკოსიც და მწყემსიც თავისებურად ფლობენ მშობლიურ ენას, თუმცა განსხვავებული ენობრივი კომპენტენციისანი არიან. მეტყველება განისაზღვრება, როგორც კონკრეტული საუბარი, რომელიც მიმდინარეობს დროის პერიოდში და ბგერითი ან წერილობითი ფორმით გამოისახება. ენა არის ფორმალური, პოტენციური, ობიექტური. მეტყველება კი - კონკრეტული, აქტიური, დინამიური და სიტუაციით

განპირობებული. ეი. ენა და მეტყველება უნდა ჩაითვალოს ლინგვისტური განხილვის ორ განსხვავებულ ობიექტად. თუმცა ზოგიერთი ლინგვისტი პრინციპულად არ განასხვავებს ენასა და მეტყველებას, ზოგი კი მეტყველებას და ურთიერთობას. მეტყველება მცოდნედ გვევლინება მოლაპარაკე ადამიანი, მისი სამეტყველო საქმიანობის პროცესებსა და სოციოკულტურულ სფეროში ურთიერთობისას. ამასთან, მეტყველება მცოდნეობის ობიექტია სამეტყველო საქმიანობა და ურთიერთობა. ურთიერთობა, როგორც სოციალური საქმიანობა, არეგულირებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ყოფით და სხვა სფეროებს. განმარტებით ლექსიკონებში სიტყვას „ურთიერთობა“ განმარტავენ, როგორც „დამოკიდებულება, კავშირი“.

ურთიერთობაში ორი მოქმედი სუბიექტია ადრესანტი და ადრესატი. ადრესანტი თავის სამეტყველო ნაწარმოებს ადრესატის ინტერესების გათვალისწინებით აგებს: თემატურად პროფესიულად და სხვა. ადრესატი არის ფიგურა, რომელიც განსაზღვრავს კომუნიკაციური ურთიერთობის ბუნებას. ადრესატის სამი ძირითადი ფუნქცია გამოიყოფა: 1) ადრესატი, რომელიც დისკუსიის, ტექსტის თავისებური თანაავტორია; 2) ადრესატი, რომელიც აღიქვამს, იგებს და ადრესანტის კომუნიკაციური პროდუქტის ინტერპრეტაციას ახდენს; 3) ადრესატი, რომელიც მსმენელის კომუნიკაციურ როლს მოსაუბრის როლზე ცვლის და ტექსტზე დამოკიდებული ხდება.

1. ადრესატი, როგორც ტექსტის თანაავტორი: გარე დიალოგი, ზოგჯერ ვირტუალურია. ამგვარად მიმართავენ ღვთაებას, ზე ძალებს და არ ელოდებიან პასუხს, მაგრამ ქმედითი დახმარების იმედი აქვთ. ასევე ურთიერთობა შინაურ ცხოველებთან;

2. პროგნოზირებადი, განზოგადებული ადრესატი: ასეთია მხატვრული, სამეცნიერო და სხვა ნაწარმოებების ადრესატი;

3. მასობრივი ადრესატი: ესენი არიან სასწავლო აუდიტორიის, კონფერენციის წარმომადგენლები და მიტინგის მონაწილეებიც კი;

4. კონკრეტული, პერსონალური ადრესატი: რომელიც უშუალო ურთიერთობაში იღებს მონაწილეობას.

აქვე უნდა ვახსენოთ ირიბი ადრესატი. ეს არის ურთიერთობის ისეთი მონაწილე, რომელსაც უშუალოდ არ მიმართავენ, მაგრამ სწორედ მის გამო აგებენ დისკუსიას თუ ტექსტს. ასეთ დროს საქმე გვაქვს, როცა ორი ადამიანი, მესამე დამსწრები პირისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ხმამაღლა საუბრობს.

მნიშვნელოვანია ასევე დამკვირვებლის პოზიცია, რომელიც კომუნიკაციის პროცესში არ არის ჩართული. თუმცა, მას, როგორც სხვისი საუბრის პასიურ მსმენელს, გადაწყვეტილების მიღება შეუძლია.

ადრესატი, როგორც ტექსტის აღქმის და ინტერპრეტაციის სუბიექტი: აღქმა გრძნობის ორგანოებს უკავშირდება, გაგება და ინტერპრეტაცია კი ცოდნისა და ინტუიციის საფუძველზე რთული კოგნიტური ოპერაციებით განისაზღვრება. მაგ:- არ გინდა ხვალ კონცერტზე წასვლა? -ზე ინგლისურში გამოცდას ვაბარებ.

ადრესატი მოსაუბრის პოზიციიდან ანუ როცა მსმენელის როლს მოსაუბრის როლზე ცვლის. ადრესატის, როგორც კომუნიკაციური კატეგორიის ძირითად საშუალებებად გვევლინება პირის ფორმები ნაცვალსახელები, ადრესატის მიმართვები და სხვა.

როგორც ცნობილია, მიმართვა ა) ადრესატის ფუნქციას ანიჭებს იმას, ვისთანაც ხდება ურთიერთობა; ბ) მიმართავს ადრესატს სახელის, ასაკის, როლის და სხვა ნიშნების გათვალისწინებით; გ) ადრესატს ურთიერთობისაკენ მოუწოდებს. ამრიგად ურთიერთობა მოწოდების თავისებური სამეტყველო აქტია. დელიქტური ფორმები შენ, თქვენ (მრავლობითი და თავაზიანი) ასახავენ კომუნიკაციათა ნაცნობობის ხასიათს, ურთიერთობის ოფიციალურ/არაოფიციალურ გარემოს, პირადი ურთიერთობის ფაქტორს და სხვა. სამეტყველო აქტების თეორიამ მნიშვნელოვანი გავლენა, მოახდინა კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარებაზე. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა ურთიერთობის პრაგმატულ პრინციპებს, რიტორიკულ უფლებებს, მსმენელისა და მოსაუბრის მოვალეობებს, რადგან ამ წესების დარღვევას მივყავართ კომუნიკაციურ წარუმატებლობამდე კი. სამეტყველო გაუგებრობის შერბილებას უზრუნველყოფს სამეტყველო ეთიკისა და თავაზიანობის რთული სისტემის გამოყენება. სამეტყველო ეტიკეტი ხშირად არ ემთხვევა ეთიკური კომუნიკაციის კატეგორიას. თავაზიანობის ძირითადი ფუნქციაა ადრესატისადმი პატივისცემის დემონსტრირება, ხოლო სამეტყველო ეთიკის ფუნქციაა კომუნიკაციური კონტაქტის დადგენა და მხარდაჭერა საზოგადოებრივი კონვენციების შესაბამისად. ტიპური სამეტყველო სიტუაცია მოიცავს მოსაუბრეს, მსმენელსა და მოსაუბრის გამონათქვამს. აზრის გამოთქმისას მოსაუბრეს მოქმედებაში მოჰყავს სამეტყველო აპარატი და წარმოთქვამს ბგერებს. ამავე დროს, ის მსმენელს აწვდის ინფორმაციას, სვამს კითხვას, აკეთებს მოხსენებას და სხვა. ბოლო წლებში ფილოსოფიაში განიხილებოდა გამოთქმების გამოყენების წესების ცოდნა, სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა დაჰყავდათ მისი გამოყენების წესების ცოდნაზე. ზოგიერთი ფილოსოფოსი არ ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას, ამბობდნენ, რომ ასეთი სემანტიკური წესები საერთოდ არ არსებობს. სერლის აზრით კი მათი ეს მოსაზრება მიუთითებდა მათ უუნარობაზე ერთმანეთისგან გაემიჯნათ სხვადასხვა ტიპის წესები. განასხვავებენ ორი ტიპის წესს: 1) რეგულარული,

რომელიც არეგულირებს ქცევის ფორმებს, რომლებიც ამ წესების მიღებამდე არსებობდა, მაგალითად, ეტიკეტის წესები არეგულირებს პიროვნება შორის ურთიერთობას, მაგრამ ეს ურთიერთობები არსებობს ეტიკეტის წესებისაგან დამოუკიდებლად. 2) კონსტიტუციური წესები, რომლებიც არა მარტო არეგულირებენ, არამედ ქმნიან და განსაზღვრავენ ქცევის ახალ ფორმებს. რეგულაციური წესები მათ მიღებამდე არსებულ საქმიანობას არეგულირებენ, რომელიც ამ წესების არსებობისგან დამოუკიდებელია. კონსტიტუციური წესები არეგულირებენ საქმიანობას, რომლის არსებობა ლოგიკურად ამ წესებზეა დამოკიდებული.

სიტყვათა არჩევა და ერთმანეთთან დაკავშირება განპირობებულია არა მარტო ინფორმაციის გადაცემის ამოცანით, არამედ იმ სიტუაციითაც, რომელშიც კომუნიკაცია ხორციელდება. ენაში მოცემულია ერთი და იმავე აზრის გადმოცემის სხვადასხვა საშუალებები, რომელთაგან მოლაპარაკე ერთ-ერთს ირჩევს სამეტყველო აქტის გამიზნულობის შესაბამისად. ენის ამ სინონიმურ რესურსებს შეისწავლის სტილისტიკა. შეიძლება ითქვას, რომ სტილი არის ენის არსებობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ტრადიციულად იხმარება მოცემული ენობრივი კოლექტივის სოციალური ცხოვრების ცალკეულ სფეროებში და რომელიც სხვადასხვა ენობრივ დონეზე ნაწილობრივ განსხვავდება ამავე ენის არსებობის სხვა ფორმებისაგან. ადამიანთა ურთიერთობები რთული და მრავალმხრივია. ეს გარემოება ენაშიც აისახება და განაპირობებს მის სტილისტურ დიფერენციაციას. პირველი მკვლევარები, რომელთაც საგანგებო მსჯელობის საგნად გაიხადეს კანტის იდეების გავლენის საკითხი ჰუმბოლდტის მსოფლმხედველობაზე, იყვნენ: რ. ჰაიმი, ა. პოტი, ა. შტაინთალი.

„კანტისეული ელემენტის“ ძიებას ჰუმბოლდტის ნააზრევში, სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ერნესტ კასირერმა 1923 წელს სათაურით: „კანტიანური ელემენტები ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ენის ფილოსოფიაში“ (ე. კასირერი 1923). ჰუმბოლდტი იძლევა კანტის ფილოსოფიის ზოგად დახასიათებას: რომ, კანტს აინტერესებდა მათემატიკა, ფიზიკა, ეთიკა; მაგრამ იგი ინტერესს არ იჩენდა ადამიანური მეტყველების პრობლემისადმი. როდესაც კანტის „კრიტიკა“ გამოვიდა, აღინიშნა, რომ ამ ნაშრომში თითქმის მთლიანად იყო უგულვებელყოფილი ადამიანური მეტყველების პრობლემა. ჰუმბოლდტი, როგორც ცნობილია, განარჩევს ენის ისტორიის ორ ეპოქას: პირველია ორგანიზაციის პერიოდი, ენის ჩამოყალიბებისა და ქმნადობის ეპოქა. მეორე პერიოდში ენის ძირეული აგებულება უცვლელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს სრულ პასიურობას. ენა, როგორც ენერგია, აზროვნების მომსახურეობისა და ფუნქციონირების შედეგად თანდათან შინაგანად იხვეწება და სრულყოფილი ხდება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: გამომცემლობა ენა და კულტურა, 1998. 175გვ.
2. გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 1995, 199გვ.
3. გ. რამიშვილი, ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა განათლება, 1978, გვ. 229.
4. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები//თხზულებანი 12 ტომად. ტ. III, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 1980.

## Resume

When talking about the three pillars of modern linguistic science - language, speech and communication, it is necessary to imagine the different positions of the native language user and the language researcher. The user performs the act. It conveys to the addressee a combination of sounds, words and grammatical structure, which are selected from the mind according to the communicative relationship. Three global intentions - message, question, understand - underlie the essence of communication, speech and language. This is how language is formed: on the one hand, in the relationship, on the other hand, for the relationship.